

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ანგარიში
შპს ქართულ-ამერიკული სკოლა.Georgian-American School

წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრების უნარის განვითარების კვლევა
პირველკლასელებში

თამარ ბოჭორიშვილი

თბილისი

2019

სარჩევი

I თავი

1. საკვლევი საკითხის ზოგადი მიმოხილვა	2
1.1 საკითხის აქტუალობა	3
1.2. პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები	4
1.3. კვლევის მიზანი	5
1.4. მთავარი საკვლევი საკითხი.....	5
1.5 საკვლევი კითხვები	5
1.6.კვლევის ამოცანა	5
1.7.კვლევის ჰიპოთეზა.....	6

II თავი

პრაქტიკული კვლევის არსი	6
-------------------------------	---

III თავი

ლიტერატურის მიმოხილვა	7
-----------------------------	---

IV თავი

კვლევის მეთოდოლოგია.....	11
4.1. სამიზნე ჯგუფი	12
4.2 კვლევის ვადები	12
4.3. მონაცემთა შეგროვება	13

V თავი

5.1. მონაცემთა ანალიზი.....	13
-----------------------------	----

VI თავი

ინტერვენცია

6.1. ინტერვენციის დაგეგმვა	30
6.2. ინტერვენციის განხორციელება	30
6.3. ინტერვენციის შეფასება.....	31
ინტერვენციის შედეგები	31
6.4. რეკომენდაციები	33
6.5 დასკვნა.....	33
გამოყენებული ლიტერატურა.....	34
დანართები	35
რეზიუმე.....	46

I თავი

1. საკვლევი საკითხის ზოგადი მიმოხილვა

ძალიან ხშირად დაწყებითი კლასის მასწავლებლები და მოსწავლეთა მშობლები აწყდებიან ასეთ სიტუაციას: ბავშვები წარმატებულად ფლობენ კითხვის უნარს, მაგრამ არ შეუძლიათ წაკითხული მასალის გაგება და წაკითხულის გადმოცემა შეუძლიათ მხოლოდ გაზეპირებით. ამ მოვლენას შეიძლება რამდენიმე მიზეზი ჰქონდეს:

- გაუწაფავი კითხვა;
- მოტივაციის არ ქონა;
- მოსწავლის კითხვის დონესა და ტექსტის კითხვადობას შორის შეუსაბამობა.

წაკითხულის გაგება-გააზრება-ეფექტური კითხვის აუცილებელი პირობაა. რას ნიშნავს წაკითხულის გაგება-გააზრება? მოკლედ რომ ვთქვათ, იგი წაკითხულიდან აზრის გამოტანას ნიშნავს. ერთი შეხედვით, ეს შეიძლება მარტივ ქმედებად მოგვეჩვენოს, მაგრამ პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ეს საკმაოდ რთული პროცესია, და მისი სწავლება პირველივე კლასიდან უნდა დავიწყოთ.

ჩემს (პირველ) კლასში 12 მოსწავლეა, სკოლაში შემოსვლის მომენტისთვის ყველა მათგანი სრულყოფილად მეტყველებდა, ფლობდა საბაზისო უნარებს. კლასს არ აღენიშნებოდა არანაირი პრობლემა მართვის თავლსაზრისით, ბავშვებს ძირითადად შეეძლოთ საკუთარი ქცევითი ქმედებების კონტროლი. ამიტომ გაკვეთილები თავიდანვე საინტერესოდ და მოსწავლეთა ზედმეტი დამაბულობის გარეშე მიმდინარეობდა. ცნობილია, რომ კითხვის შესწავლის პერიოდი 3 ეტაპად იყოფა. ესაა წინასაანბანო, საანბანო და ანბანის შემდგომი პერიოდები. ჩვენი პრობლემები სწორედ საანბანო პერიოდიდან დაიწყო. თუ წინასაანბანო პერიოდში ბავშვები ხალისით, პოზიტიური ემოციებით ერთვებოდნენ ზეპირმეტყველების აქტივობებში, ანბანის დაწყებასთან ერთად პრობლემებმა იმატა, კერძოდ ეს გამოიხატა იმაში, რომ ბავშვები ცნობდნენ ცალკეულ ასოებს, მაგრამ უჭირდათ მათი გამთლიანება ანუ სიტყვად გარდაქმნა. მოსწავლეთა ძალიანმევა ძირითადად დეკოდირების ანუ სიმბოლოთა გაშიფვრის პროცესისაკენ იყო მიმართული. სწორედ ამის გამო მოსწავლეები იმდენად დიდ ენერგიას ხარჯავდნენ სიტყვების ამოცნობასა და „გაბგერებაზე“, რომ მათი მნიშვნელობა შემდგომ ავიწყდებოდათ, შეიძლება ითქვას „ეკარგებოდათ“ (გაუწაფავი კითხვა). კითხვის ასეთი პრობლემის წამოჭრასთან ერთად ვატყობდი, რომ ჯგუფის ზოგიერთ მოსწავლეს აღარ აინტერესებდა ის რასაც კითხულობდნენ, რადგანაც ვერ ახერხებდნენ ტექსტში გადმოცემულ ინფორმაციაზე კონცენტრირებას, რაც ერთგვარად მათი დემოტივაციის მიზეზი ხდებოდა.

სწორედ ამიტომ, გადავწყვიტე გამომეკვლია ეს საკითხი და მიზეზების დადგენის შემდეგ, მომეძია ის მეთოდები და სტრატეგიები რომელიც დამეხმარებოდა ამ სირთულეების დაძლევაში.

აკადემიური მოსწრების მიხედვით კლასი შეიძლება დავახასიათო, როგორც კარგი აკადემიური მოსწრების ბავშვების გუნდი. ბავშვების უმეტესობა დადიოდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში, ამიტომ მათთვის არ წარმოადგენდა პრობლემას საბავშვო გუნდთან ადაპტირება, არც კლასის მართვის პრობლემები შექმნილა. წინასაანბანო პერიოდში დაკვირვების შედეგად არ გამოკვეთილა რაიმე თვალში საცემი პრობლემა, მოსწავლეთა აბსოლუტური უმრავლესობა წარმატებით აღწერდა სურათებს და ილუსტრაციებს. ბავშვების მეტყველების დასახვეწად და მსჯელობის უნარის გამოსამუშავებლად ვიყენებდი მრავალ აქტივობას.

შემდგომმა ეტაპმა რომელიც საანბანო პერიოდია, ნამდვილად გამოკვეთა სირთულეები. გამოიკვეთა კლასიკური პრობლემები, რაც გამოიხატა ჩვეული პრობლემით. ბავშვებისათვის რთული არ იყო ცალკეული ასოების დამახსოვრება, მაგრამ ამ ასოების სიტყვად გამთლიანება კი ნამდვილი პრობლემად გვექცა. სიტყვების ამოცნობის უნარის გაწაფვა (სწრაფი დეკოდირება და მნიშვნელობის მინიჭება) კარგი კითხვის უმნიშვნელოვანესი საყრდენია. სწორედ ეს ფაქტი განსაზღვრავს სამომავლოდ თუ რამდენად შეძლებს ბავშვი სხვადასხვა ტექსტიდან აზრის გამოტანას, საკუთარ გონებაში წარმოდგენების კონსტრუირებას და იმის გაცნობიერებას, თუ რას ეუბნება ავტორი მკითხველს. საკითხი რომ ზოგადად აქტუალურია ეს ისედაც ნათელია, მით უფრო მეტი აქტუალობით გამოირჩევა დაწყებით კლასებში, რადგან სწორედ აქ ეყრება საფუძველი მოსწავლის სწავლების პროცესის წარმატებულობა/წარუმატებლობას.

1.1 საკითხის აქტუალობა

კვლევის აქტუალობა მდგომარეობს შემდეგში: პირველ კლასში მოსული ბავშვი აბსოლუტურად ახალ გარემოში ხვდება, მას უკვე მოსწავლე ჰქვია თავისი ვალდებულებებითა და მოვალეობებით. ასეთივე ვალდებულებები და მოვალეობები გვაკისრია ჩვენც მასწავლებლებს, მაქსიმალური ძალები უნდა მოვიკრიბოთ და მივმართოთ ის იმ მიმართულებით, რომ მოსწავლეს შევუქმნათ რაც შეიძლება მეტად კომფორტული გარემო განვითარებისათვის. ცნობილი ფაქტია, რომ „შენობა მით უფრო მყარია, რაც უფრო მყარია მისი საძირკველი“, სწორედ ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ, რომ წარმატებული სტარტი მოსწავლის შემდგომი წარმატების გარანტიაა. უპირველესი ამოცანა ჩვენი როგორც დაწყებითი კლასების მასწავლებლის, იმაში მდგომარეობს, რომ ვასწავლოთ მათ წერა, კითხვა, თვლა, განვუვითაროთ ბავშვებს ის საბაზისო უნარ-ჩვევები, რომელიც აუცილებელია სწავლების პროცესისათვის.

დაწყებით კლასებში აუცილებელია მოსწავლეებს ვასწავლოთ გამართული და დაკვირვებული კითხვა, გამოვუმუშაოთ ყურადღება, მოვიძოთ ის აქტივობები და გრაფიკული სქემები, რომელიც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს წაკითხულის გაგება-გააზრებაში, ეს რა თქმა უნდა მომდევნო კლასებში მათ გაუადვილებს სწავლას, ტექსტის გააზრებას და სკოლა მიიღებს აკადემიურად წარმატებულ მოსწავლეს, რომელსაც სწავლისადმი პოზიტიური დამოკიდებულება აქვს განვითარებული.

1.2. პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები

ყოველ ადამიანს გააჩნია განსხვავებული აღქმის ტიპი, მოსწავლეებს შორის არიან აუდილებიც, კინესთეტიკებიც და ვიზუალებიც. ამდენად ერთ-ერთ პრობლემას შეიძლება წარმოადგენდეს მასწავლებლის მიერ მოსწავლეებისათვის შეთავაზებული სავარჯიშოებისა თუ აქტივობების ტიპი, რადგან თუ კონკრეტული სავარჯიშო შეიძლება მისაღები და „ზედ გამოჭრილიც“ იყოს ერთი მოსწავლისათვის, მეორესათვის ის აბსოლუტურად არაფრის მომცემი იყოს. ამიტომ ამ ეტაპზე პრობლემის გამომწვევ ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ სწავლების პროცესში გამოყენებული სასწავლო რესურსი და წიგნის ასაკთან შეუსაბამობა. საგანმანათლებლო სივრცეში უკანასკნელ პერიოდში გამოქვეყნებული სასწავლო მეთოდოლოგიური ტიპის სახელმძღვანელოებში სულ მეტი ინტენსივობით მიდის აპელირება იმაზე, რომ სწავლების პროცესში აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო მიდგომები. ეროვნულ სასწავლო გეგმაში კითხვის გაკვეთილები ინტეგრირებულია მშობლიური ენის სწავლებასთან, მაშინ როდესაც PIRLS-ის მონაცემებით ბევრ ქვეყანაში კითხვის სწავლება არ არის ინტეგრირებული მშობლიური ენის სწავლებასთან და კითხვის გაკვეთილი მოსწავლეებს ცალკე უტარდებათ. ვფიქრობ ასეთი მიდგომა კიდევ უფრო მეტი სიცხადით გვაჩვენებს კითხვის მნიშვნელობას. განათლების მკვლევარები აღნიშნავენ, რომ კითხვასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა შეიძლება გამოიწვიოს აკადემიური წარუმატებლობა, ხელი შეუშალოს სკოლისა და სწავლისადმი პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას და „ნეგატიური ქცევების“ განხორციელებას.

ჩემს კლასში გამოიკვეთა, რომ საანბანო პერიოდის დასრულების შემდეგ მოსწავლეები რასაც კითხულობდნენ ვერ ახერხებდნენ ინფორმაციაზე კონცენტრირებას, აზრის გამოტანას, რაც სავარაუდოდ გამოიწვია გაუწაფავმა კითხვამ და ლექსიკური მარაგის სიმწირემ.

1.3. კვლევის მიზანი

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენს შევისწავლო და გამოვავლინო რა სირთულეებს აწყდებიან პირველკლასელები წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრებასთან დაკავშირებით, რა ფაქტორები იწვევს ამ სირთულეებს.

შევიმუშავო და განვახორციელო ამ პრობლემის გადაჭრის შესაძლო გზები და სტრატეგიები.

1.4 მთავარი საკვლევო საკითხი

მთავარი კითხვა: როგორ ხდება წაკითხულის გაგება-გააზრების უნარის განვითარება პირველ კლასში. რა ტიპის სირთულეები იკვეთება ამ დროს და როგორ შეიძლება ამ სირთულეების გადალახვა?

1.5 საკვლევო კითხვები:

- რა არის კითხვა?
- რას ნიშნავს წაკითხულის გაგება-გააზრება?
- რა კრიტერიუმებით შეგვიძლია დავადგინოთ აქვს თუ არა მოსწავლეს განვითარებული წაკითხულის გაგება-გააზრების უნარი?
- როგორი მეთოდები და სტრატეგიები უნდა გამოვიყენოთ წაკითხულის გაგება-გააზრების განვითარებისათვის?
- რამდენად არის დაკავშირებული წაკითხულის გაგება-გააზრების საკითხები მოსწავლეთა კითხვის მაჩვენებელთან და როგორ კითხულობენ ეფექტური მკითხველები.

1.6. კვლევის ამოცანა

იმისათვის, რომ შევძლოთ კვლევის მიზნის მიღწევა საჭიროდ მეჩვენება გადავჭრა შემდეგი ამოცანები:

- დაკვირვების შედეგად მოვახდინო პრობლემის გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირება;
- განვსაზღვრო კლასში რამდენ მოსწავლეს აქვს, წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრების პრობლემა;
- რა არის კითხვის მთავარი დანიშნულება და ახდენს თუ არა ტექსტის გააზრებელი წაკითხვა გავლენას მოსწავლეთა აკადემიურ მაჩვენებელზე სხვა საგნებში?

- მეთოდური ლიტერატურის გაცნობა;
- რა მეთოდებს და სტრატეგიებს გვთავაზობენ განათლების სპეციალისტები იმისათვის, რომ მოვახდინოთ მოსწავლეებში წაკითხულის გაგება-გააზრების პრობლემების მინიმიზირების თვალსაზრისით;
- ლიტერატურის დამუშავების საფუძველზე, პრობლემის გადაჭრის შესაძლო გზების ძიება;
- როგორ შევაფასოთ გაგება-გააზრების უნარი?

1.7. კვლევის ჰიპოთეზა

თუ კითხვის სწავლების საკითხს მიუდგებით კომპლექსურად და სწავლების პროცესს ავაგებთ გაგება-გააზრების სწავლების ზოგად პრინციპებთან თანხვედრაში, მაშინ პირველკლასელებისათვის სიტყვების ამოკითხვასა და მის გააზრებას შორის სირთულეების მინიმიზირება მოხდება. ამ პროცესის უპირატეს და უმთავრეს სტრატეგიად მიმაჩნია სასწავლო პროცესში მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პრინციპების დანერგვა.

II თავი

პრაქტიკული კვლევის არსი

კვლევის ობიექტი: ქ. თბილისის შპს ქართულ-ამერიკული სკოლის Georgian-American School-ის პირველი კლასის მოსწავლეები.

კვლევის საგანი: პირველი კლასის მოსწავლეებში წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრების უნარის დონის დადგენა და იმ პედაგოგიური პირობების (მოტივაცია, მეთოდი, სტრატეგია, პრაქტიკული რეალიზაციის საშუალება) გამოვლენა, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრების უნარის განვითარებას და ამ გზით მათი ცოდნის დონის ამაღლებას.

კვლევის შედეგები წარმოდგენილია ცხრილების, დიაგრამების, დასკვნების, მიგნებებისა და რეკომენდაციების სახით, რაც ზრდის მათი პრაქტიკული გამოყენების ხარისხს.

მასწავლებლებისათვის კვლევით უნარისა და კომპეტენციის არსებობის აუცილებლობაზე მიგვითითებს მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, რომლის მოთხოვნაა მასწავლებლებში პრაქტიკული კვლევების კომპეტენციის უნარის ფლობა. მასწავლებელი კოლეგებთან ერთად გეგმავს სპეციალურ კვლევით სამუშაოებს, ახორციელებს მათ და იყენებს პრაქტიკულ საქმიანობაში (პროფესიული განვითარება, მუხლი133;1)

III თავი

ლიტერატურის მიმოხილვა

კვლევის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეტაპად მიმაჩნია ლიტერატურის ანალიზი.

მოვიძიე უამრავი ლიტერატურული მასალა საკვლევი საკითხის ირგვლის, გავეცანი ჟურნალი მასწავლებლის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ სტატიებს, რომელშიც მოცემულია პრაქტიკული რჩევები საკვლევი საკითხის ირგვლივ.

ჩემი კვლევის ლიტერატურული მიმოხილვა, მინდა დავიწყო G-PRIED-ის სასწავლო-მეთოლოგიური რესურსების კრებულით: "კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე", (G-PRIED; USAID-ის მხარდაჭერით შექმნილი კრებული 2015: 211-225); განხილულია წაკითხულის გაგება-გააზრებასთან დაკავშირებული თეორიული საკითხები. სწორედ ამ თავში მოცემული მასალის ანალიზმა მომცა ყველაზე მეტი ეფექტი, რომ დამეგეგმა შემდგომი ნაბიჯები, მოსწავლეებში წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრებასთან დაკავშირებული სირთულეებისა და მისი დამლევის გზების თვალსაზრისით.

ეროვნულ სასწავლო გეგმას ეპიგრაფად მინიშნებული აქვს დიმიტრი უზნაძის

სიტყვები: „სწავლაში ძირითადი მნიშვნელობა იმ პროდუქტს კი არ აქვს, რომელსაც იგი კონკრეტული ჩვევის ან კონკრეტული შინაარსის მქონე ცოდნის სახით გვამლევს, არამედ განსაზღვრული მიმართულებით მოსწავლის ძალების განვითარებას.“ -ეს სიტყვები ერთგვარი მინიშნებაა იმისათვის, რომ მასწავლებელმა მიმართოს მოსწავლის ძალები საკუთარი განვითარების კალაპოტში.

პირველ რიგში მინდა ვისაუბრო იმის შესახებ თუ როგორ ხდება გაგება-გააზრების უნარის განვითარება. კრებულში მოცემული მასალის თანახმად კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე“, (G-PRIED; USAID-ის მხარდაჭერით შექმნილი კრებული 2015 :213) წაკითხულის გაგება-გააზრების სტრატეგიების გამოყენება ხანგრძლივად ისწავლება. „გააზრების უნარ-ჩვევებ/სტრატეგიებს შევსება, გამდიდრება, გაძლიერება და უწყვეტი გადახალისება სჭირდება. მნიშვნელოვანია, რომ სხვადასხვა ტიპის ტექსტს გააზრების განსხვავებული სტრატეგიები მიესადაგება. მხატვრული თხრობითი ტექსტების გააზრება განსხვავდება საბუნებისმეტყველო ტექსტების გააზრებისაგან, რომელიც, თავის მხრივ, განსხვავდება საგაზეთო სტატიის გააზრებისაგან და ა.შ. ასე რომ გაგება-გააზრების ათვისება მთელი ცხოვრების განმავლობაში გრძელდება და დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ტიპის, სიღრმის და დიაპაზონის ტექსტებს კითხულობს ადამიანი. გაგება-გააზრებაზე ოთხი ფაქტორი ზემოქმედებს, ესენია:

- მკითხველი
- ტექსტი
- მიზანი

➤ სიტუაციური კონტექსტი/გარემო

მკითხველი არის სუბიექტი, რომელიც ჩართულია გაგება-გააზრების პროცესში. ტექსტი არის საკითხავი მასალა, რომელსაც იაზრებს მკითხველი (მოთხრობა, სტატია, ლექსი, სარეკლამო განცხადება და სხვა). მიზანი გულისხმობს გააზრების ამოცანას, რომლის შესრულებასაც ცდილობს მკითხველი და იმ სტრატეგიებს, რომლებსაც ამისათვის იყენებს (მაგალითად, ინფორმაციის მოძიება, კონსტრუქტორის აწყობის პროცედურის გაცნობა, ნაწარმოების ძირითადი იდეის დადგენა, მოვლენების თანმიმდევრობის დროის ღერძზე წარმოდგენა, პერსონალის განზრახვის ამოცნობა და სხვა) კონტექსტი კი არის გარემოებათა ერთობლიობა, რომელშიც მიმდინარეობს კითხვის პროცესი. კარგი მკითხველები ცდილობენ გამოკვეთონ ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები, გამოიტანონ დასკვნები მათი მიზეზებისა და შესაძლო შედეგების შესახებ. ეს აუცილებელი უნარებია ტექსტის გასააზრებლად, ვინაიდან ავტორი ყველა დეტალს ვერ გააშუქებს, ხშირად ის არაპირდაპირი, იმპლიციტური სახით გვაწვდის იდეებს თითოეული დეტალის საგანგებო აღწერისა და ახსნა-განმარტების გარეშე. კრიტიკული კი ის დოენა, როცა მკითხველს წაკითხულის გააზრებასთან ერთად მისი შეფასება შეუძლია, მაგ: შეუძლია აზრი გამოთქვას ავტორის მიზნის, ჩანაფიქრის, სტილის, იდეისა თუ თვალთახედვის შესახებ. აგრეთვე, შეუძლია წაკითხული ტექსტის ძირითადი აზრის გამოკვეთა, მისი სხვა ავტორების იდეებთან შედარება და საკუთარი დამოკიდებულების განსაზღვრა. როგრც ვხედავთ, გაგება-გააზრება კომპლექსური უნარის, რომლის განვითარებას საკმაო დრო და ძალისხმევა ესაჭიროება. ქართული საგანმანათლებლო სივრცისთვის შედარებით ახალია.“

ეროვნული სასწავლო გეგმაში დეტალურად გაწერილია კითხვის და მხატვრული ტექსტის გაგებისა და თვითგამოხატვის მიმართულეების მოთხოვნები: თავი XI.1 ზოგადი ნაწილი. პუნქტი ბ ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მიმართულეება:

„**კითხვა**.-კითხვის უნარის განვითარება **წიგნიერების** საფუძველია, რაც სრულფასოვანი პიროვნების ჩამოყალიბების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ეს მიმართულეება ემსახურება მშობლიურ და მსოფლიო ლიტერატურასთან ზიარებას; ამასთანავე, ნაირგვარი წერილობითი ტექსტის წაკითხვის, მათში მოცემული ინფორმაციის გაგების, გააზრებისა და გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავებას. სწავლის პროცესში მოსწავლემ უნდა გამოიყენოს კითხვის ძირითადი სტრატეგიები, რათა შეეძლოს ტექსტის შერჩევა, მასში სასურველი ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიება, კრიტიკული კითხვა, გრამატიკული, სტატიკური და კონტექსტური მონაცემების გამოყენება ტექსტის ღრმად წვდომის მიზნით; სპეციალური საძიებლებისა და ლექსიკონების გამოყენება, ტექსტების სწრაფი და დიფერენცირებული კითხვა, მიღებული ინფორმაციის დამუშავება, მონაცემთა ანალიზი და დასკვნების გამოტანა“.

„**მხატვრული ტექსტის გაგება და თვითგამოხატვა**. - ლიტერატურის სწავლების პროცესმა ხელი უნდა შეუწყოს და ერთგვარი ბიძგი მისცეს თითოეულ მოსწავლეში

არსებული უნიკალური - ინდივიდუალური და შემოქმედებითი - პოტენციალის გამოვლენას. მხატვრული ლიტერატურის შესწავლისას, მისი თავისებურებებიდან გამომდინარე, მოსწავლეთა წინაშე ბუნებრივად ჩნდება საკუთარი თავისა და სამყაროს შეცნობის ინდივიდუალური პერსპექტივა“. ამდენად თუ ეროვნული სასწავლო გეგმის ამ ორი მონაკვეთის განზოგადებას მოვახდენთ, გამოდის რომ კითხვა და მხატვრული ტექსტის გაგებისა და თვითგამოხატვის სწავლების მიმართულებები ერთმანეთზე გადაჯაჭვული პროცესებია და მათი სწავლება ერთმანეთთან ინტეგრაციით უნდა მოხდეს“.

სწორედ ამიტომ ქართული საგანმანათლებლო სივრცისათვის ახალია ეროვნული სასწავლო გეგმის ისეთი ასპექტები, როგორცაა:

- კითხვის სწავლების დასაწყისშივე გაგება-გააზრებაზე ორიენტირება ანბანისა და დეკოდიტების სწავლების პარალელურად (პირველ კლასში)
- გაგება-გააზრების საწყისი სტრატეგიების მოდელირება და გავარჯიშება (ჯერ კიდევ პირველი კლასიდან)
- მხატვრული ტექსტების პარალელურად საინფორმაციო ტექსტების წაკითხვის სწავლება.

ქართ. I. 7. მოსწავლეს შეუძლია წერილობითი კოდის გაშიფვრა.

ქართ. I. 8. მოსწავლეს შეუძლია პრაგმატული ხასიათის მარტივი ტექსტის (მაგ., ინსტრუქციის, მენიუს, საყიდლების სიის, აბრისა და ა.შ.) წაკითხვა და გაგება.

ქართ. I. 9. მოსწავლეს შეუძლია ვიზუალურად გამოხატოს წაკითხული / მოსმენილი ტექსტით აღძრული შთაბეჭდილებები.

ამავე რესურს-კრებული „კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე“, (G-PRIED; USAID-ის მხარდაჭერით შექმნილი კრებული 2015 :215)- ზე მოცემულია: კარგი მკითხველის უნარჩვევები და სტრატეგიები, რომლის თანახმად, „კარგი მკითხველი იყენებს შემდეგ სტრატეგიებს:

- მონიშვნები და ჩანაწერები
- კავშირები ტექსტში
- ვიზუალიზაცია
- შეკითხვების დასმა
- ხელმეორედ წაკითხვა
- ტექსტის ნაწილებად დაყოფა
- „სამი დათვის“ პრინციპი(ადეკვატური ტექსტების შერჩევა)
- კითხვა მეწყვილესთან ერთად
- დღიურის წარმოება
- გრაფიკული სქემები“

„ კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე“, (G-PRIED; USAID-ის მხარდაჭერით შექმნილი კრებული 2015 :217 “-ზე შეგვიძლია ამოვიკითხოთ რა აძლიერებს გაგება-გააზრებას სწავლების პროცესს?

- „ტექსტის გაგება-გააზრების სტრატეგიების სწავლება.
- ტექსტზე ფოკუსირებული დისკუსიები მოსწავლეებს შორის.
- თანამშრომლობითი სწავლა წყვილებსა და მცირე ჯგუფებში.
- ადეკვატური, მაგრამ განსხვავებული სირთულე, სხვადასხვა ტიპისა და ჟანრის ტექსტებთან მუშაობა.
- ლექსიკური მარაგის აქტივობების გამოყენება ტექსტის გააზრების ინსტრუმენტების სახით.“

გააზრების უნარ-ჩვევებისა და სტრატეგიების ნაბიჯ-ნაბიჯ დანერგვის მოდელი ზემოთ აღწერილი უნარ-ჩვევებისა და სტრატეგიების ასათვისებლად სასურველია გამოიყენოთ პასუხისმგებლობის ნაბიჯ-ნაბიჯ გადაცემის მოდელი.

„ნაბიჯი 1- თავდაპირველად უჩვენეთ ბავშვს, თუ როგორ იყენებთ სამიზნე უნარ-ჩვევას/სტრატეგიას თქვენ თვითონ. შეარჩიეთ ამისთვის თქვენი მოსწავლეებისთვის საინტერესო წიგნი. გამოიყენეთ ხმამაღლა ფიქრის ტექნიკა.

ნაბიჯი 2- გადადით ერთობლივ პრაქტიკაზე. გამოიყენეთ სამიზნე უნარ-ჩვევა/სტრატეგია ერთობლივად. დემონსტრირების პროცესი თქვენ წარმართეთ და პერიოდულად ჩართეთ მასში მოსწავლე/მოსწავლეები.

ნაბიჯი 3- ჩართეთ მართული პრაქტიკის აქტივობები. შესთავაზეთ მოსწავლეებს უნარ-ჩვევების/სტრატეგიების გამოყენება წყვილებსა და მცირე ჯგუფებში. შეარჩიეთ ამისთვის ადეკვატური სირთულის ტექსტები/წიგნები. მიაწოდეთ კონსტრუქციული უკუკავშირი, მინიშნებები და რჩევები.

ნაბიჯი 4- მიეცით საშუალება მოსწავლეს/მოსწავლეებს დამოუკიდებლად გამოიყენოს სამიზნე უნარ-ჩვევა/სტრატეგია. მიეცით სტრატეგიების გამოყენების საუბრის, საკუთარი გამოცდილების გაზიარებისა და შთაბეჭდილებების საშუალება.“

ვერიკო სომხიშვილი სტატიაში, რომელიც გამოქვეყნებული იყო საიტზე <http://mastsavlebeli.ge/?p=4193> „საინფორმაციო-შემეცნებითი ტექსტის გაგება-გააზრების სწავლება დაწყებით საფეხურზე“ - სადაც აღნიშნავს, რომ „დაწყებითი საფეხური მნიშვნელოვანი პერიოდია ბავშვის, როგორც მკითხველის ჩამოყალიბებაში.

წაკითხულის გააზრების პრობლემები მრავალმა ფაქტორმა შეიძლება გამოიწვიოს. ყველაზე გავრცელებული მიზეზებია:

- მწირი ლექსიკური მარაგი;
- გამართულად კითხვის დეფიციტი;
- მკითხველისთვის უცნობი საკითხავი თემა;
- ტექსტის სირთულე;
- კითხვის ეფექტური სტრატეგიების არაადეკვატური გამოყენება;
- სუსტი ვერბალური მსჯელობა;
- ინფორმაციის გადამუშავების პრობლემები;
- წაკითხვის შემდეგ ინფორმაციის აღდგენის პრობლემა“

ამავე სტატიაში ვკითხულობთ: „წაკითხულის გააზრების გაუმჯობესება მნიშვნელოვნად არის შესაძლებელი, თუ მოსწავლეებს მიზანმიმართულად ვასწავლით:

- გაგების მონიტორინგს;
- პარაგრაფში ძირითადი აზრის პოვნას;
- კითხვის სამივე ეტაპზე შეკითხვების დასმას;
- დასკვნების გამოტანასა და ტექსტის ნაწილების დაკავშირებას;
- ძირითადი ინფორმაციის თხრობას;
- ტექსტის ძირითადი პუნქტების შეჯამებას“.

ამრიგად, თუ შევაჯამებ აქ მოყვანილ ლიტერატურულ მასალას, შესაძლებელი გახდება შემდეგი ძირითადი დასკვნების გაკეთება:

➤ ტექსტის გაგება-გააზრების საკითხი წარმოადგენს დროში გაწეილ დინამიურად მიმდინარე პროცესს.

➤ გაგება-გააზრების ათვისება მთელი ცხოვრების განმავლობაში გრძელდება და დამოკიდებულია იმაზე თუ რა ტიპის, სიღრმის და დიაპაზონის ტექსტებს კითხულობს ადამიანი,

➤ სასწავლო პროცესში, აუცილებელია ისეთი სწავლების სტრატეგიების გამოყენება, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში გაგება-გააზრების პროცესის გამარტივებას.

IV თავი

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მეთოდებით გამოვიყენე როგორც რაოდენობრივი ასე თვისობრივი კვლევის მეთოდი. რაოდენობრივი კვლევის მეთოდებიდან გამოვიყენე ანკეტირება, ხოლო თვისობრივი კვლევის მეთოდებიდან სიღრმისეული ინტერვიუ და დაკვირვება.

დაკვირვება გამოვიყენე კვლევის საწყის ეტაპზე, როდესაც შევეცადე რომ ცხადად გამომეკვეთა პრობლემა და მის გამომწვევ შესაძლო მიზეზებზე გამომეთქვა ჩემი ვარაუდები.

სიღრმისეული ინტერვიუ დავგეგმე იმისათვის, რომ პირისპირ საუბარი ჩემს კოლეგებთან საშუალებას მომცემდა მათ აზრებსა და გამოცდილებას გავცნობოდი, საჭიროების შემთხვევაში დამესვა დამატებითი კითხვები, მომეხდინა მათი განწყობებისა და დამოკიდებულებების უფრო ზუსტი კვლევა.

ანკეტირებისათვის წინასწარ მოვამზადე კითხვები მშობლებისთვის, მასწავლებლებისთვის და ჩემი პირველკლასელებისთვის. მაგრამ რადგან ისინი ძალიან პატარები არიან ანკეტირებას გაუკეთე ოდნავი მოდიფიცირება, რასაც იხილავთ ქვემოთ მონაცემთა ანალიზში.

თავდაპირველად ვაწარმოე ანკეტირება სამიზნე ჯგუფის ყველა სეგმენტთან.

სიღრმისეული ინტერვიუ განვახორციელე კოლეგებთან, იმისათვის, რომ შესაძლებლობა მქონოდა მიმელო ამომწურავი და სიღრმისეული მონაცემები, გამეზიარებინა მათი მოსაზრებები, ამისათვის წინასწარ ვთხოვე მათ შეხვედრა მათთვის სასურველ დროსა და ადგილას.

4.1.სამიზნე ჯგუფი

სამიზნე ჯგუფად ავირჩიე პირველი კლასი, რომელშიც 12 მოსწავლე სწავლობს მათი მშობლები და დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები.

4.2 კვლევის ვადები

კვლევის ფარგლებში დაგეგმილი ყველა აქტივობა განხორციელებულია 2018-2019 სასწავლო წლის მანძილზე

კვლევის ეტაპები	პერიოდი	მონაწილე პირები
კვლევის ძირითადი პრობლემის დადგენა და კვლევის პრობლემის ფორმულირება	ოქტომბერი 2018 წელი	თ.ბოჭორიშვილი
ჰიპოთეზის ფორმულირება	ნოემბერი 2018 წელი	თ.ბოჭორიშვილი
კვლევის ამოცანების ფორმულირება,რათა შევძლო ძირითადი პრობლემის გადაჭრის გზების ძიება	დეკემბერი 2018 წელი	თ.ბოჭორიშვილი
კვლევის მეთოდების შერჩევა	იანვარი 2019 წელი	თ.ბოჭორიშვილი
კვლევითი ღონისძიებების განხორციელება	თებერვალი 2019 წელი	თ.ბოჭორიშვილი; სამიზნე ჯგუფი
მონაცემთა ანალიზი	თებერვალი 2019 წელი	თ.ბოჭორიშვილი
ინტერვენციების დაგეგმვა,განხორციელება და რეკომენდაციების ფორმულირება	მარტი 2019 წელი	თ.ბოჭორიშვილი; სამიზნე ჯგუფი

მიგნებებისა და რეკომენდაციების ფორმულირება	აპრილი 2019 წელი	თ.ბოჭორიშვილი
დასკვნების ფორმულირება	აპრილი 2019 წელი	თ.ბოჭორიშვილი
კვლევის მიღებული შედეგების გაზიარება	მაისი 2019 წელი	თ.ბოჭორიშვილი; კოლეგები; კვლევის ანგარიშის ატვირთვა ინტერნეტში

4.3. მონაცემთა შეგროვება

სამიზნე ჯგუფი, რომ ჩემი პირველკლასელები იქნებოდნენ ამაზე არც დავფიქრებულვარ, რადგან საკვლევი თემატიკა სწორედ მათი საჭიროებებიდან გამომდინარეობდა, თუმცა ნამდვილად დავფიქრდი იმაზე, თუ რა მეთოდით მომეპოვებინა სასურველი ინფორმაცია, რადგან ჩემი პირველკლასელები ჯერ პატარები არიან და ჯერ კიდევ არ აქვთ კარგად განვითარებული ტექსტების შესრულების უნარ-ჩვევა. ამიტომ ძალიან წარმატებულად გამოვიყენე შუქნიშანის სტრატეგია გამოკითხვისათვის. რადგან კლასი მცირერიცხოვანია, ამიტომ არ გამჭირვებია პასუხების დათვლა. ბავშვებმა წინსწრებით იცოდნენ თუ ჩემს მიერ გამოთქმულ მოსაზრებას ეთანხმებოდნენ უნდა აეწიათ მწვანე შუქნიშანი, თუ არ ეთანხმებოდნენ წითელი, თუ არ იცოდნენ რა ეპასუხათ მაშინ ყვითელი.

ანკეტირება ჩავატარე მოსწავლეებთან, მშობლებთან და დაწყებითი კლასის ოთხ პედაგოგთან. საკითხის სიღრმისეულად შესწავლის მიზნით, მივმართე სიღრმისეული ინტერვიუს სტრატეგიას. რადგანაც კვლევას ვატარებდი პირვლად და სამიზნე ჯგუფში მოიაზრებოდა არასრულწლოვანი ბავშვები, კვლევის დაგეგმვის და განხორციელების შესახებ ვაცნობე სკოლის ადმინისტრაციას.


V თავი

5.1. მონაცემთა ანალიზი


შევადგინე კითხვარი მოსწავლეებისათვის; მშობლებისათვის და მასწავლებლებისათვის.

კითხვარი მოსწავლეებისათვის

1. კარგად დააკვირდი სურათებს, რას აირჩევდი, საჩუქრად დაბადების დღეზე



- ა) ისტორიულ წიგნს
- ბ) ზღაპრების წიგნს
- გ) წიგნს ცხოველებზე




დიაგრამის თანახმად, მოსწავლეების 29% საჩუქრად ისურვებდნენ ისტორიულ წიგნებს, 42% - ზღაპრების წიგნებს, 29% წიგნს ცხოველებზე.

2. რომელი ღიმილაკი გამოხატავს შენს განწყობას როდესაც წიგნს კითხულობ?



- ა) ძალიან მიხარია
- ბ) მიხარია
- გ) ჩაფიქრებული ვარ




მოსწავლეთ 31% წიგნის კითხვისას წარმოქმნილ ემოციას აფასებს, ძალიან მხიარული ღიმილაკით. 49% მხიარული ღიმილაკით, 20% ჩაფიქრებულ ღიმილაკს ირჩევს.

3. რომელი ღიმილაკი გამოხატავს შენს განწყობას როდესაც დედა გიკითხავს წიგნს?



- ა) ძალიან მიხარია
- ბ) მიხარია
- გ) ჩაფიქრებული ვარ

რომელი ღიმილაკი გამოხატავს შენს განწყობას როდესაც დედა გიკითხავს წიგნს?



მოსწავლეთა 31% საკუთარ ემოციას ძალიან მიხარული ღიმილაკით აფასებს, როცა დედა უკითხავს წიგნს.


49% მიხარულ ღიმილაკს ირჩევს, ხოლო 20% ჩაფიქრებულ ღიმილაკს ირჩევს.

4. რომელი ღიმილაკი გამოხატავს შენს განწყობას როდესაც წიგნს შენს მეგობართან ერთად კითხულობ?



- ა) ძალიან მიხარია
- ბ) მიხარია
- გ) ჩაფიქრებული ვარ

რომელი ღიმილაკი გამოხატავს შენს განწყობას როდესაც წიგნს შენს მეგობართან ერთად კითხულობ?




მოსწავლეთა 68% ძალიან უხარია წიგნის კითხვა მეგობართან ერთად, 22% - უხარია, ხოლო დანარჩენი კი საკუთარი განწყობას გამოხატავს „ჩაფიქრებული“ ღიმილაკით.

4.კარგად დააკვირდი ფორტოებს და ამოირჩიე, რომელ ფოტოსურათზე აღბეჭდილი სწავლების ფორმა იქნება შენთვის უფრო კომფორტული?



- ა) როდესაც ინდივიდუალურად მეცადინეობ
- ბ) ჯგუფურად მეცადინეობისას თანაკლასელებთან ერთად


კარგად დააკვირდი ფორტოებს და ამოირჩიე
,რომელ ფოტოსურათზე აღბეჭდილი
სწავლების ფორმა იქნება შენთვის უფრო
კომფორტული?



მოსწავლეთა 72% -ისთვის კომფორტულია სწავლებისას, ჯგუფური მუშაობის ფორმატი, ხოლო 28%-ისთვის ინდივიდუალური მუშაობის ფორმატი.

5. მე ჩამოგივლით აქტივობებს და თქვენ გამოხატეთ თქვენი დამოკიდებულება ამ აქტივობის მიმართ,თუ ძალიან მოგწონთ აქტივობა-დაუკარიტ ტაში, თუ მოგწონთ ასწიეთ ორივე ხელი; თუ აქტივობა მეტნაკლებად მოგწონთ-ერთი ხელით

- ა) გონებრივი რუკა
- ბ) პერსონაჟების რუკა
- გ) როლებში კითხვა
- დ) მოთხრობის პალიტრა




გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა 23% ირჩევს-გონებრუვ რუკას, 35% პერსონაჟების რუკას, 12%- როლებში კითხვა, 30%-მოთხრობის პალიტრას.

კითხვარი მასწავლებლებისათვის

1. როგორ შეაფასებთ კლასის მოსწავლეთა მიერ წაკითხულის გაგება-გააზრების დონეს თქვენ ჯგუფში?

- ა) მაღალი
- ბ) საშუალო
- გ) საშუალოზე დაბალი

როგორ შეაფასებთ კლასის მოსწავლეთა მიერ წაკითხულის გაგება-გააზრების დონეს თქვენ ჯგუფში?




მოსწავლეებელთა 22% კლასის მოსწავლეთა მიერ წაკითხულის გაგება-გააზრების დონეს აფასებს მაღალ დონეზე, 68% -საშუალო დონეზე, 10%-საშუალოზე დაბალ დონეზე.

2.რა აქტივობას მიმართავთ მოსწავლეებში წაკითხულის ტექსტის გაგება-გააზრების დონის ასამაღლებლად?

- ა) გაკვეთილის ყველა ფაზაში, მოსწავლეებს ვაწვდი ისეთ აქტივობებს რომელიც იქნება მათთვის სახალისო.
- ბ) ვცდილობ, ახალი ტექსტის გასააზრებლად გამოვიყენო კოგნიტური დიაგრამები და გრაფიკული მაორგანიზებლები.
- გ) წაკითხულის გაგება-გააზრებისათვის საუკეთესო აქტივობათ მიმაჩნია ხშირად დისკუსიების გამართვა.

რა აქტივობას მიმართავთ მოსწავლეებში წაკითხულის ტექსტის გაგება-გააზრების დონის ასამაღლებლად?




მასწავლებელთა 30% მოსწავლეებში წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრების დონის ასამაღლებლად გაკვეთილის ყველა ფაზაში მოსწავლეებს აწვდის ისეთ აქტივობებს, რომელიც იქნება მათთვის სახალისო; 50% ცდილობს, ახალი ტექსტის გასააზრებლად გამოიყენოს კოგნიტური დიაგრამები და გრაფიკული მათემატიკის ელემენტები, ხოლო 20% წაკითხულის გაგება-გააზრებისთვის საუკეთესო აქტივობად მიაჩნია ხშირად დისკუსიების გამართვა.

3. როგორ ფიქრობთ რა არის უპირატესი დამაბრკოლებელი მოსწავლეებში წაკითხულის გაგება-გააზრებისათვის?

- ლექსიკური მარაგის სიმწირე;
- ტექსტის დიდი მოცულობა და შინაარსის სირთულე;
- ტექსტის კითხვისას ყურადღების ნაკლები კონცენტრირება.

როგორ ფიქრობთ რა არის უპირატესი დამაბრკოლებელი მოსწავლეებში წაკითხულის გაგება-გააზრებისათვის?



მასწავლებელთა 30% ფიქრობს, რომ უპირატესად დამაბრკოლებელი მოსწავლეებში წაკითხულის გაგება-გააზრებისთვის არის ლექსიკური მარაგის სიმწირე; 40%-ტექსტის დიდი მოცულობასა და შინაარსის სირთულეს მიიჩნევს, ხოლო 30% ტექსტის კითხვისას მოსწავლეების მხრიდან ყურადღების ნაკლებ კონცენტრირებას.


4. როგორ ფიქრობთ გაქვთ თუ არა სასწავლო პროცესი იმგვარად აწყობილი, რომ შეძლოთ გაუადვილოთ ბავშვებს ტექსტის გაგება-გააზრებასთან დაკავშირებული სირთულეები?

ა) ვფიქრობ რომ მაქვს;

ბ) ვფიქრობ, რომ კარგი იქნება თუ უფრო მეტად ორიენტირებულს გავხდი მოსწავლის საჭიროებებზე;

გ) ვფიქრობ საჭიროა უფრო მეტი ვიმუშავო ამ კუთხით.

როგორ ფიქრობთ გაქვთ თუ არა სასწავლო პროცესი იმგვარად აწყობილი, რომ შეძლოთ გაუადვილოთ ბავშვებს ტექსტის გაგება-გააზრებასთან დაკავშირებული სირთულეები?



მასწავლებელთა 18% ფიქრობს, რომ სასწავლო პროცესი აწყობილი აქვს იმგვარად, რომ ბავშვებს გაუადვილონ ტექსტის გაგება-გააზრებასთან დაკავშირებული სირთულეები; 62% ფიქრობს, რომ კარგი იქნება თუ უფრო მეტად ორიენტირებულს გახდის სასწავლო პროცესს მოსწავლის საჭიროებებზე; ხოლო 20% ფიქრობს, რომ საჭიროა უფრო მეტი იმუშაოს ამ კუთხით.

5.რას ურჩევდით თქვენს კოლეგას საკვლევი საკითხის ირგვლივ?

გთავაზობთ ორი კოლეგის მიერ დაწერილ პასუხებს(რომელიც ყველაზე ინფორმატიულად მეჩვენა):


„თემა, რომ ძალზე აქტუალურია, ამას არ უნდა ზედმეტი მტკიცება. თითოეული ჩვენთაგანი დგება ამ პრობლემის წინაშე სწავლების პროცესში. მე როგორც ბუნებისმეტყველების მასწავლებელი განსაკუთრებულად ვგრძნობ ამას, რადგან ბავშვებს ძალიან უჭირთ საინფორმაციო ტექსტის გაგება-გააზრება, ზოგიერთი მათგანი ყველა გაკვეთილს, მაგრამ უჭირთ იმავე პარაგრაფიდან დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა. ამიტომ ყველაზე მეტად საგაკვეთილო პროცესში ვიყენებ კოგნიტურ დიაგრამებს, რომლებიც მეხმარება იმაში, რომ თვალსაჩინოდ წარმოვადგინო მიზეზ-შედეგობრივი კავშირები, რომელიც აღწერილი იქნება ტექსტში. ჩემს კოლეგას ალბათ ვურჩევ იმას, რომ გრაფიკული ორგანიზატორები და კოგნიტური დიაგრამები რაც შეიძლება უფრო მეტად გამოიყენოს საგაკვეთილო პროცესში, მე მგონი ეს საუკეთესო მეთოდია ტექსტის გაგება-გააზრების თვალსაზრისით?“

„მე როგორც დაწყებითი კლასის მასწავლებელი, მაინც ვემხრობი იმ მოსაზრებას, რომ ტექსტის გაგება-გააზრების საქმეში გადამწყვეტი როლი მოსწავლეების ლექსიკური მარაგის სიმწირეს ენიჭება. ამის მიზნით საუკეთესო საშუალებად მიმაჩნია დიფერენცირებული სწავლების მიდგომების დანერგვა. ამას ვურჩევ ჩემს

კოლეგასაც, რომ გამოიყენოს დიფერენცირებული სწავლების მიდგომები, ვფიქრობ წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრებისათვის საინტერესო სტრატეგიებს გვთავაზობს“.

კითხვარი მშობლებისათვის

1. გაქვთ თუ არა დამკვიდრებული წიგნის კითხვის ტრადიცია, თქვენ შვილთან ერთად?
 - ა) დიახ, მაქვს
 - ბ) არა, არ მაქვს
 - გ) მეტნაკლებად




მშობელთა 31% აღნიშნავს, რომ აქვს დამკვიდრებული შვილთან ერთად წიგნის კითხვის ტრადიცია;

29% -არა აქვს, ხოლო 40% მეტნაკლებად აქვს.

2. რამდენად ჩართული ხართ თქვენი შვილის სწავლების პროცესში?
 - ა) სრულად ჩართული ვარ
 - ბ) ნაწილობრივ ჩართული ვარ
 - გ) ვცდილობ ჩავეერთო


რამდენად ჩართული ხართ თქვენი შვილის სწავლების პროცესში?



მშობელთა 42% აღნიშნავს, რომ სრულად ჩართულია შვილის სწავლების პროცესში; 32% -ნაწილობრივია ჩართული, ხოლო 26% ცდილობს ჩაერთოს.

3. წარმოიდგინეთ სიტუაცია, თქვენ და თქვენი შვილი უყურებთ საინტერესო მულტიპლიკაციურ ფილმს, უცებ კარზე ზარია და თქვენ მეზობელმა დაგიძახათ. შეძლებს თუ არა თქვენი შვილი მულტიპლიკაციური ფილმის შინაარსის თანმიმდევრულ გადმოცემას?
- ა) ვფიქრობ, შეძლებს
 - ბ) ვფიქრობ ნაწილობრივ შეძლებს
 - გ) ვფიქრობ ვერ შეძლებს


წარმოიდგინეთ სიტუაცია, თქვენ და თქვენი შვილი უყურებთ საინტერესო მულტიპლიკაციურ ფილმს, უცებ კარზე ზარია და თქვენ მეზობელმა დაგიძახათ. შეძლებს თუ არა თქვენი შვილი მულტიპლიკაციური...



მშობელთა 51% ფიქრობს, რომ მისი შვილი შეძლებს საჭიროების შემთხვევაში თანმიმდევრულად გადმოსცეს ფილმის შინაარსი; 39%- ფიქრობს, რომ ნაწილილობრივ შეძლებს; 10% ფიქრობს, რომ ვერ შეძლებს.

4. როგორ ფიქრობთ რომელი ნივთი იქნება თქვენი შვილისათვის სასურველი საჩუქარი დაბადების დღეზე?

- ა) კარგად ილუსტრირებული წიგნი
- ბ) კარგი სათამაშო(მაგალითად თოჯინა ან ბურთი)
- გ) გასართობი ცენტრის ვაუჩერი




მშობელთა 65% ფიქრობს, რომ მისი შვილისთვის სასურველი საჩუქარი დაბადების დღეზე იქნება კარგად ილუსტრირებული წიგნი; 32% -კარგი სათამაშო (მაგ.თოჯინა ან ბურთი); 3% ფიქრობს გასართობი ცენტრის ვაუჩერი

5. გაქვთ თუ არა სახლში ბიბლიოთეკა და რამდენად ავსებთ მას ახალი წიგნებით?

- ა) მაქვს ძველი ბიბლიოთეკა, მაგრამ სამწუხაროდ ვერ ვავსებ მას ახალი ლიტერატურით
- ბ) მაქვს ბიბლიოთეკა და რეგულარულად ვავსებ ახალი წიგნებით
- გ) არ მაქვს ბიბლიოთეკა

გაქვთ თუ არა სახლში ბიბლიოთეკა და რამდენად ავსებთ მას ახალი წიგნებით?




მშობელთა 47% აცხადებს, რომ სახლში აქვს ძველი ბიბლიოთეკა, მაგრამ ვერ ავსებს ახალი ლიტერატურით; 33% - აქვს ბიბლიოთეკა და რეგულარულად ავსებს ახალი წიგნებით; ხოლო 20% არა აქვს ბიბლიოთეკა.

6. უყვარს თუ არა თქვენს შვილს კითხვა?

- ა) უყვარს
- ბ) არ უყვარს
- გ) მეტნაკლებად უყვარს

უყვარს თუ არა თქვენს შვილს კითხვა?



კითხვაზე, უყვარს თუ არა თქვენს შვილს კითხვა, მშობელთა 61% აფიქსირებს პასუხს „უყვარს“; 27% -არ უყვარს, 12% -მეტნაკლებად უყვარს.

სიღრმისეული ინტერვიუ

სიღრმისეული ინტერვიუ გავიარე ორ მასწავლებელთან.

ერთი არის დაწყებითი კლასების პედაგოგი, ხოლო მეორე კი ბუნებისმეტყველების მასწავლებელი.

სიღრმისეული ინტერვიუსათვის მქონდა დაგეგმილი შემდეგი კითხვები

- რა არის კითხვის მთავარი დანიშნულება?
- როგორ ფიქრობთ თქვენი საქმიანობით რამდენად უწყობთ ხელს მოსწავლეებში ეფექტური მკითხველი განვითარებას?
- რომელ მეთოდებს იყენებთ წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრებისათვის?
- რას ურჩევდით თქვენს კოლეგას საკვლევ საკითხთან დაკავშირებით?

პირველი მასწავლებელი:

- „კითხვის მთავარი დანიშნულება ჩემი აზრით არის ის რომ მოსწავლემ შეძლოს ტექსტში ამოკითხული ინფორმაციის გაგება-გააზრება. გაგებას საკვანძო მნიშვნელობა აქვს აკადემიური წარმატების მიღწევაში.“
- „მე საგაკვეთილო პრაქტიკაში გამოვიყენებ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო მიდგომების სტრატეგიებს. ვცდილობ შევისწავლო თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები და შესაძლებლობები და სასწავლო პროცესი სწორედ ამის გათვალისწინებით ავაგო, ვფიქრობ რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ეფექტური მკითხველის უნარ-ჩვევების განვითარებას.“
- „მეთოდს ვირჩევ იმის მიხედვით, თუ როგორი ტექსტის გარჩევას ვაკეთებთ, მაგალითად განსხვავებულია მხატვრული ტექსტის გარჩევის სტრატეგია ინფორმაციული ტექსტის გარჩევის სტრატეგიიდან, ჩემთვის ყველაზე მეტად მნიშვნელოვან და სასარგებლო აქტივობად მიმაჩნია მაინც კოგნიტური დიაგრამებისა და გრაფიკული ორგანიზატორების გამოყენება.“
- „კოლეგას ვურჩევ ჯიპრაიდის აქტივობების წიგნის გამოყენებას, რადგანც მიმაჩნია, რომ საუკეთესო რესურსი სახელმძღვანელოა დღესდღეობით ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, რომელშიც შეიძლება ვიპოვოთ გაკვეთილის ყველა ეტაპზე გამოსაყენებელი სტრატეგიებისა და მეთოდების შესახებ.“

მეორე მასწავლებელი.

- „ვფიქრობ თუ ადამიანს შეუძლია აზრიანად ტექსტის კითხვა, მას არ გაუჭირდება არც ერთი ტიპის ინფორმაციაში გარკვევა. ვფიქრობ კითხვა ის

უნარია, რომელიც წარმატებული განვითარების საძირკველია, შეიძლება ითქვას უნართა უნარია.“

➤ „ეფექტური მკითხველის ჩამოყალიბებაში მნიშვნელობა არა მარტო სკოლას ენიჭება, ვფიქრობ თუ არ იქნა მშობლის ჩართულობა და ოჯახშიც არ იქნა დამკვიდრებული კითხვის კულტურა, მარტო სკოლა ვერ შეძლებს მოსწავლესი ეფექტური მკითხველის უნარების ჩამოყალიბებას.“

➤ „ჩემთვის უპირატესია დიფერენცირებული სწავლების მეთოდების დანერგვა.“

➤ „კოლეგა ვურჩევდი, რომ საგაკვეთილო პროცესში რაც შეიძლება მეტი ინტენსივობით გამოიყენოს დიფერენცირებული სწავლების მეთოდები.“

მიგნებები

მონაცემთა ანალიზისას გამოიკვეთა შემდეგი მიგნებები

➤ მოსწავლეთა უმრავლესობისათვის საუკეთესო საჩუქარი ზღაპრების წიგნია, თუმცა მოსწავლეთა თანაბარი რაოდენობა აღნიშნავს იმას რომ გაუხარდებოდათ თუ ისინი საჩუქრად ისტორიულ ან ცხოველებზე წიგნს მიიღებდნენ;

➤ მოსწავლეების უმრავლესობას უხარია ან ძალიან უხარია წიგნის კითხვა, თუმცა არც თუ ისე ცოტა რაოდენობა აღნიშნავს, რომ წიგნის კითხვა არც თუ ისე სასურველი საქმიანობაა მათთვის;

➤ მოსწავლეების უმრავლესობას უხარია ან ძალიან უხარია, როდესაც მას წიგნს დედა უკითხავს, თუმცა საკმარისია ისეთი მოსწავლეების რაოდენობა რომლებიც არ გამოხატავენ განსაკუთრებულ ემოციას ამ საქმიანობისადმი;

➤ მოსწავლეების უმრავლესობას მოსწონს, როდესაც წიგნს მეგობართან ერთად კითხულობს

➤ მოსწავლეების უმრავლესობას მოსწონს როდესაც ჯგუფურად მუშაობს;

➤ მასწავლებლის მიერ შეთავაზებული აქტივობებიდან მოსწავლეებს ყველაზე მეტად „პერსონაჟების რუკა“ და „მოთხრობის პალიტრა“ მოსწონთ.

➤ მასწავლებელთა უმრავლესობა „საშუალო“ დონეზე ახასიათებს მოსწავლეების მიერ წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრების დონეს;

➤ მასწავლებელთა უმრავლესობა მოსწავლეების წაკითხულის გაგება-გააზრების საუკეთესო საშუალებად მიაჩნია გრაფიკული ორგანიზატორის გამოყენება.

➤ მასწავლებლების უმრავლესობას ძირითად დამაბრკოლებელ ფაქტორად მიაჩნიათ მოსწავლეებში ლექსიკური მარაგის სიმწირე;

- მასწავლებლების უმრავლესობა ფიქრობს, რომ სასწავლო პროცესი აწყობილი აქვთ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო აქტივობებით.
- მშობლების ნახევარზე მეტს მეტნაკლები ინტენსივობით უკითხავს წიგნს შვილს.
- მშობლების უმრავლესობა ცდილობს ჩართული იყოს შვილის სასწავლო პროცესში, თითქმის თანაბარი რაოდენობა სრულად და ნაწილობრივად ჩართული საკუთარი შვილის სასწავლო პროცესში;
- მშობლების ნახევარზე მეტი აღნიშნავს, რომ მის შვილს შეუძლია თანმიმდევრულად გადმოსცეს ტექსტის შინაარსი, თუმცა საკმარისზე მეტია ისეთი ბავშვების რიცხვი რომელიც ბრკოლდება ამ კუთხით;
- მშობლების უმრავლესობა არნიშნავს, რომ მათ შვილებს მოსწონთ, როდესაც მათ კარგად ილუსტრირებულ წიგნებს ჩუქნიან.
- მშობელთა ნახევარზე მეტი აღნიშნავს, რომ აქვთ სახლში ბიბლიოთეკა თუმცა უჭირთ მათი შევსება ახალი წიგნებით.

VI თავი

ინტერვენცია

6.1. ინტერვენციის დაგეგმვა

კვლევის საფუძველზე, ინტერვენციის მიზნით დაგეგმე შემდეგი აქტივობები:

- გაკვეთილებზე მარტივი გრაფიკული მაორგანიზებლების გამოყენება
- „პატარა მკითხველთა კლუბის“ შექმნა
- მარტივი „როლური თამაშების“ დაგეგმვა - განხორციელება
- „სიტყვების ყულაბა“
- ყოველ დღე, 20 წუთი დაუთმე კითხვას; -აქტივობას დავარქვი: „კითხვის კალენდარი“

6.2. ინტერვენციის განხორციელება

- გრაფიკული მაორგანიზებლის გამოყენებას ვაწარმოებდი თითქმის ყველა გაკვეთილზე, განსაკუთრებული ინტენსივობით მისი გამოყენება დავიწყე კითხვის შემდგომ პერიოდში.(დანართი)

➤ შევექმენი „პატარა მკითხველთა“ კლუბი. ბავშვებს განვათავსებდი იატაკზე ზოგჯერ წრეზე, ზოგჯერ კიდე წყვილებში, ხდებოდა მხატვრული ტექსტის წაკითხვა და შემდომ წაკითხულის განხილვა.

➤ „როლური თამაშების“ დაგეგვა-განხორციელებასთან დაკავშირებით მინდა აღვნიშნო, რომ ბავშვები ასეთ ღონისძიებებს ყველაზე დიდი ხალისით ეკიდებიან. რადგან, სწორედ ამ დროს ბავშვები საუკეთესოდ ირგებენ მარტივი როლური თამაშების პერსონაჟების სახეებს.

➤ „სიტყვების ყულაბა,“ (ჩვენ გვიყვარს კითხვა) საკლასო ოთახის კედელზე მაქვს გაკეთებული კონვერტის ფორმის ყულაბა, რომელიც თითოეულ მოსწავლეზე არის გათვალისწინებული. ბავშვები წაკითხული ტექსტს იწერდნენ ფერად სტიკერებზე და აწყობდნენ ყულაბაში. შემდგომ ყოველი კვირის ბოლოს ვაჯამებდით ვის უფრო მეტი ახალი სიტყვა ექნებოდა.(დანართი)

➤ „კითხვის კალენდრის წარმოება მიმდინარეობდა შემდეგნაირად: სახლში მოსწავლეები 20 წუთის განმავლობაში მშობლების მეთვალყურეობით კითხულობდნენ მხატვრულ ტექსტს და სკოლაში მოსვლისას წიგნიერების გაკვეთილზე ხდებოდა წაკითხულის განხილვა. (დანართი)

6.3. ინტერვენციის შეფასება/შედეგები

ინტერვენციები ეფექტურობის შეფასებისათვის ყველაზე თვალსაჩინო არის რაოდენობრივი კვლევის მეთოდები, ამიტომ ისევ მივმართე ღიმილაკებით შეფასების სტრატეგიას. ბავშვებს მივმართე შემდეგი კითხვებით:

1. იყო თუ არა თქვენთვის საინტერესო და დაგებმარათ თუ არა კითხვის უნარის გაუმჯობესებაში სწავლებისას სქემების გამოყენებამ?

2. მოგწონთ თუ არა „სიტყვების ყულაბა“ და „როლური თამაშების“ აქტივობა?

3. როგორ ფიქრობთ იყო თუ არა თქვენთვის სასარგებლო, განხორციელებული აქტივობა „კითხვის კალენდარი?“

ჩვენ ღიმილაკებს შევუცვალეთ მნიშვნელობა და ამჯერად:

ძალიან მიხარიათ ექვივალენტური იყო მნიშვნელობა- ძალიან მომწონს

მიხარიათ მნიშვნელობა არის- მომწონს

ჩაფიქრებული ვარ -არ მომწონს

მოსწავლეთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ ამ კითხვებზე პასუხი გამოხატა „ძალიან მომწონს“ ღიმილაკით, რაც მაფიქრებინებს, რომ განხორციელებული ინტერვენციები მართლაც ეფექტური და სარგებლის მომტანი იყო ბავშვებისათვის.

• გრაფიკული მაორგანიზებლის გამოყენებამ გაზარდა მოსწავლეთა მოტივაცია, გაუადვილა მათ წაკითხული მასალის აღქმა. დაეხმარა მოსწავლეებს

ახალი ინფორმაციის სტრუქტურირებაში, არსებულ და ახალ ინფორმაციებს შორის მიმართებების ანალიზში, გააზრების თვალსაჩინოდ დემონსტრირებაში. სქემებს წარმართებით ვიყენებდი გაკვეთილის ყველა ეტაპზე, როგორც წაკითხვამდე, ასევე წაკითხვის დროს და წაკითხვის შემდეგ.

- „პატარა მკითხველთა კლუბის“ დაარსებამ ხელი შეუწყო კითხვის პოპულარიზაციას, რადგან ჩვენ აქ ვკითხულობდით არაპროგრამულ ნაწარმოებებს, ფაქტობრივად ვახდენთ ახალი ლექსიკური ერთეულების შესწავლას, რაც ლექსიკური მარაგის გამდიდრებას ასტიმულირებს. გაგება-გააზრების უმთავრესი საყრდენი სწორედ ლექსიკური მარაგია. კითხვის შემდეგ გამართული დისკუსიები, წაკითხულის გაგება-გააზრების ერთ-ერთი საუკეთესო გზაა, რადგაც საუბრის დროს შესაძლებლობა ეძლეოდათ დაესვათ კითხვები, საკუთარი სიტყვებით გადმოეცათ წაკითხული ტექსტის შინაარსი.

- „როლური თამაშების“ ორგანიზება განხორციელება ხელს უწყობს მოსწავლეებში შემოქმედებითი უნარების განვითარებას, აგრეთვე ისინი საშუალებას გვაძლევს მოსწავლეებმა რეალობაში წარმოიდგინონ ის სიტუაცია რაც აღწერილია კონკრეტული „როლური თამაშის“ სიუჟეტში.

- „სიტყვების ყულაბამ“ ხელი შეუწყო მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის გამდიდრებას.

- „კითხვის კალენდარმა“ ხელი შეუწყო მოსწავლეებს, მხატვრული ლიტერატურა წაეკითხათ შინ, მშობლების მეთვალყურეობის ქვეშ. მშობლის ჩართულობა სასწავლო პროცესში პირველკლასელებისთვის მოტივაციის ამაღლების ერთერთი ფაქტორია.

აქ, ამ პუნქტში და წინა პუნქტებში, განხილულია დაგეგმილი ინტერვენციები, მათი შედეგები და განხორციელების ეტაპები. აუცილებლად მიმაჩნია, ჩავატარო მცირე კვლევა, იმისათვის რომ შევაფასო ჩემს მიერ ჩატარებული ინტერვენციების ეფექტურობა. შუქნიშნების გამოყენებით შევეცადე მოსწავლეებისგან მიმეღო პასუხები შემდეგ კითხვებზე:

1. როგორ ფიქრობ, გეხმარება თუ არა გრაფიკული სქემები წაკითხული ტექსტის გაგებაში და იქ არსებული ინფორმაციის გააზრებაში: მოსწავლეთა 80% -მა ასწია მწვანე შუქნიშანი, რაც „ძალიან მეხმარება“ პასუხის მიმანიშნებელია; 12% -მა ასწია ყვითელი შუქნიშანი, რაც ნიშნავს „მეხმარებას; 8%-მა - კი წითელი, რაც ნიშნავს, რომ ზოგჯერ ეხმარება ზოგჯერ არა.

2. მოგეწონა თუ არა „როლური თამაშები“ ყველამ ერთხმად ასწია მწვანე შუქნიშანი.

მიღებულმა შედეგებმა, დამარწმუნა, რომ ჩემს მიერ დაგეგმილი და განხორციელებული ინტერვენციები იყო სასარგებლო და მოსაწონი ჩემი მოსწავლეებისათვის. ჩემი მხრიდან კი ვფიქრობ, რომ ეს არ არის მაქსიმუმი რაც მე შემეძლია და ამიტომ საჭიროა მუდმივი მუშაობა იმ მიმართულებით, რომ სასწავლო პროცესი უფრო მეტად ორიენტირებული გავხადო მოსწავლეე

6.4 რეკომენდაციები

- თუ საგაკვეთილო პროცესში ინტენსიურად გამოვიყენებთ გრაფიკულ მათემატიკას და კოგნიტიურ დიაგრამებს ხელს შეუწყობს მოსწავლეებში წაკითხული ტექსტის უკეთ გაგება-გააზრებას.
- თუ მოსწავლეებს შევთავაზებთ ისეთ აქტივობებს, რომლებიც ჯგუფურ პრინციპზე იქნება აგებული ეს მათ სასწავლო პროცესს უფრო ეფექტურს და ხალისიანს გახდის.
- თუ კლასში შევექმნით ისეთ გარემოს, რომელიც წახალისებს მოსწავლეებს ახალი სიტყვების დამახსოვრებაზე, ამით ხელს შეუწყობთ მათი ლექსიკური მარაგის გამდიდრებას.
- თუ მშობლები საკუთარ შვილებს საჩუქრად უპირატესად წიგნს შესთავაზებენ, ამით ხელს შეუწყობენ წიგნის პოპულარიზაციას.
- თუ სასწავლო პროცესში დავინერგავთ დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს ამით ხელს შევუწყობთ მოსწავლეებში წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრების დონის გაზრდას.
- „როლური თამაშები“ და არასაგაკვეთილო ღონისძიებები აგრეთვე ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მიერ ტექსტის გაგება-გააზრების საკითხს.
- თუ დავგეგმავთ არასაგაკვეთილო ღონისძიებებს ამით გავზრდით მოსწავლეთა მშობლების ჩართულობას.

6.5 დასკვნა

ინტერვენციის ეტაპზე სწორად შერჩეულმა აქტივობებმა განაპირობა მოსწავლეების დამოკიდებულების პოზიტიური ცვლილება კითხვისადმი და წაკითხულის გაგება-გააზრებისადმი, მშობელთა ჩართულობამ გარკვეული პოზიტიური ცვლილებები გვიჩვენა, თუმცა არასაკმარისი. უკეთესი იქნებოდა, შემდეგში უფრო მეტი აქტიურობა მშობლების მხრიდან.

კვლევის ფარგლებში განხორციელებულმა ყველა აქტივობამ დაადასტურა, რომ თუ კითხვის სწავლების საკითხს მივუდგებით კომპლექსურად და სწავლების პროცესს ავაგებთ გაგება-გააზრების სწავლების ზოგად პრინციპებთან თანხვედრაში, მაშინ პირველკლასელებისთვის სიტყვების ამოკითხვასა და მის გააზრებას შორის სირთულეების მინიმიზირება მოხდება.

ვფიქრობ, პრაქტიკის კვლევის ფარგლებში შევძელი სიტუაციის გაუმჯობესება წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრების უნარის განვითარებაში. აღვნიშნავ, რომ ამ პროცესის უპირატეს და უმთავრეს სტრატეგიად მიმაჩნია სასწავლო პროცესში მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პრინციპების დანერგვა.

გამოყენებული ლიტერატურა:

ვიზუალური სქემები და გრაფიკული ორგანიზატორები კითხვისა და წერის სწავლებისათვის დაწყებით საფეხურზე. (G-PRIED; USAID-ის მხარდაჭერით შექმნილი -სასწავლო მეთოდოლოგიური რესურსების კრებული 2015

ინასარიძე მათა, სოფიკო ლობჯანიძე, მანანა რატიანი და ირინა სამსონია. 2016. მასწავლებლის საქმიანობის დაწყების პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის გზამკვლევი ნაწ. II. თბილისი: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.

კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე,(G-PRIED; USAID-ის მხარდაჭერით შექმნილი სასწავლო-მეთოდოლოგიური რესურსების კრებული. 2015

კითხვის ეფექტური მეთოდები. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. 2013

ეროვნული სასწავლო გეგმა, 2018-2024 წლები. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

PIRLS 2011. წიგნიერება. კითხვაში მოსწავლეთა მიღწევა და მასთან დაკავშირებული ფაქტორები. გამოცდების ეროვნული ცენტრი. 2013.

<http://mastsavlebeli.ge/?p=4193> „საინფორმაციო-შემეცნებითი ტექსტის გაგება-გააზრების სწავლება დაწყებით საფეხურზე“-ვერიკო სომხიშვილი.

დანართები:

კითხვარი მშობლებისთვის:

1. გაქვთ თუ არა დამკვიდრებული წიგნის კითხვის ტრადიცია, თქვენ შვილთან ერთად?

- ა) დიახ, მაქვს
- ბ) არა, არ მაქვს
- გ) მეტნაკლებად

2. რამდენად ჩართული ხართ თქვენი შვილის სწავლების პროცესში?

- ა) სრულად ჩართული ვარ
- ბ) ნაწილობრივ ჩართული ვარ
- გ) ვცდილობ ჩავერთო

3. წარმოიდგინეთ სიტუაცია, თქვენ და თქვენი შვილი უყურებთ საინტერესო მულტიპლიკაციურ ფილმს, უცებ კარზე ზარია და თქვენ მეზობელმა დაგიძახათ. შეზღუდვებს თუ არა თქვენი შვილი მულტიპლიკაციური ფილმის შინაარსის თანმიმდევრულ გადმოცემას?

- ა) ვფიქრობ, შეძლებს
- ბ) ვფიქრობ ნაწილობრივ შეძლებს
- გ) ვფიქრობ ვერ შეძლებს

4. როგორ ფიქრობთ რომელი ნივთი იქნება თქვენი შვილისათვის სასურველი საჩუქარი დაბადების დღეზე?

- ა) კარგად ილუსტრირებული წიგნი
- ბ) კარგი სათამაშო (მაგალითად თოჯინა ან ბურთი)
- გ) გასართობი ცენტრის ვაუჩერი

5. გაქვთ თუ არა სახლში ბიბლიოთეკა და რამდენად ავსებთ მას ახალი წიგნებით?

ა) მაქვს ძველი ბიბლიოთეკა, მაგრამ სამწუხაროდ ვერ ვავსებ მას ახალი ლიტერატურით

- ბ) მაქვს ბიბლიოთეკა და რეგულარულად ვავსებ ახალი წიგნებით
- გ) არ მაქვს ბიბლიოთეკა

6. უყვარს თუ არა თქვენს შვილს კითხვა?

- ა) უყვარს
- ბ) არ უყვარს
- გ) მეტნაკლებად უყვარს

კითხვარი მოსწავლეებისათვის

1.კარგად დააკვირდი სურათებს,რას აირჩევდი,საჩუქრად დაბადების დღეზე



- ა) ისტორიულ წიგნს
- ბ) ზღაპრების წიგნს
- გ) წიგნს ცხოველებზე

2. რომელი ღიმილაკი გამოხატავს შენს განწყობას როდესაც წიგნს კითხულობ?



- ა) ძალიან მიხარია
- ბ) მიხარია
- გ) ჩაფიქრებული ვარ

3. რომელი ღიმილაკი გამოხატავს შენს განწყობას როდესაც დედა გიკითხავს წიგნს?



- ა) ძალიან მიხარია
- ბ) მიხარია
- გ) ჩაფიქრებული ვარ

3. რომელი ღიმილაკი გამოხატავს შენს განწყობას როდესაც წიგნს შენს მეგობართან ერთად კითხულობ?





- ა) ალიან მიხარია
- ბ) მიხარია
- გ) ჩაფიქრებული ვარ

4. კარგად დააკვირდი ფორტოებს და ამოირჩიე, რომელ ფოტოსურათზე აღბეჭდილი სწავლების ფორმა იქნება შენთვის უფრო კომფორტული?



ა) როდესაც ინდივიდუალურად მეცადინეობ
ბ) ჯგუფურად მეცადინეობისას თანაკლასელებთან ერთად
5. მე ჩამოგივლით აქტივობებს და თქვენ გამოხატეთ თქვენი დამოკიდებულება ამ აქტივობის მიმართ, თუ ძალიან მოგწონთ აქტივობა-დაუკარით ტაში, თუ მოგწონთ ასწიეთ ორივე ხელი; თუ აქტივობა მეტნაკლებად მოგწონთ-ერთი ხელით

- ა) გონებრივი რუკა
- ბ) პერსონაჟების რუკა
- გ) როლური კითხვა
- დ) მოთხრობის პალიტრა

კითხვარი მასწავლებლებისათვის

1. როგორ შეაფასებთ კლასის მოსწავლეთა მიერ წაკითხულის გაგება-გააზრების დონეს თქვენ ჯგუფში?

- ა) მაღალი
- ბ) საშუალო
- გ) საშუალოზე დაბალი

2.რა აქტივობას მიმართავთ მოსწავლეებში წაკითხულის ტექსტის გაგება-გააზრების დონის ასამაღლებლად?

ა)გაკვეთილის ყველა ფაზაში ,მოსწავლეებს ვაწვდი ისეთ აქტივობებს რომელიც იქნება მათთვის სახალისო

ბ)ვცდილობ,ახალი ტექსტის გასააზრებლად გამოვიყენო კოგნიტური დიაგრამები და გრაფიკული ორგანიზატორი

გ)წაკითხულის გაგება-გააზრებისათვის საუკეთესო აქტივობათ მიმაჩნია ხშირად დისკუსიების გამართვა

3.როგორ ფიქრობთ რა არის უპირატესი დამაბრკოლებელი მოსწავლეებში წაკითხულის გაგება-გააზრებისათვის?

ა)ლექსიკური მარაგის სიმწირე

ბ)ტექსტის დიდი მოცულობა და შინაარსის სირთულე

გ)ტექსტის კითხვისას ყურადღების ნაკლები კონცენტრირება

4. როგორ ფიქრობთ გაქვთ თუ არა სასწავლო პროცესი იმგვარად აწყობილი ,რომ შეძლოთ გაუადვილოთ ბავსებს ტექსტის გაგება-გააზრებასთან დაკავ/სირებული სირთულეები?

ა)ვფიქრობ რომ მაქვს

ბ)ვფიქრობ რომ კარგი იქნება თუ უფრო მეტად ორიენტირებულს გავხდი მოსწავლის საჭიროებებზე


გ)ვფიქრობ საჭიროა უფრო მეტი ვიმუშავო ამ კუთხით

5.რას ურჩევდით თქვენს კოლეგას საკვლევი საკითხის ირგვლივ.

სიტყვის/ ცნების რუკა

მოსწავლე _____
თარიღი _____

განმარტება




წინადადება ამ სიტყვის გამოყენებით

დახატე და წერე

მოსწავლე _____

თარიღი _____

დახატე სურათი



აღწერე შენი სურათი

ნიმუში:

ნაწარმოების სათაური _____



პერსონაჟი _____

ფიქრობს _____

აკეთებს _____

ამბობს _____

გრძნობს _____

შედეგი _____

გმირის მიზანი _____



ქართულ-ამერიკული სკოლა
Georgian-American-School

კითხვის კალენდარი

კლასი: I

მოსწავლე: _____

- ❖ საყვარელი ზღაპრის პერსონაჟი: _____
- ❖ საყვარელი ანიმაციური ფილმის პერსონაჟი: _____
- ❖ საყვარელი ფერი: _____
- ❖ საყვარელი ცხოველი: _____
- ❖ საყვარელი თამაში: _____
- ❖ რა არ მიყვარს ყველაზე მეტად: _____
- ❖ რას ვიზამდი ჯადოსნური ჯოხი რომ მქონდეს: _____



"ვისაც წიგნის კითხვა უყვარს, მას მუდამ გვერდით ჰყავს ერთგული მეგობარი, მხიარული თანამოსაუბრე, ბრძენი მრჩეველი და დამრიგებელი".

ისიდორ ბაროუ

კითხვის უნარის დახვეწის მიზნით და კითხვისადმი ინტერესის გასაძლიერებლად რამდენიმე სტრატეგია შევიმუშავეთ. ტრადიციულად ყველაფერი კითხვის დიაგნოსტიკური ტესტირებით დავიწყეთ. კარგ მკითხველად ჩამოყალიბებისთვის, მნიშვნელოვანია ეს პროცესი შინაგანად გავრძელდეს, რომ კითხვა ჩვენი ბავშვების ცხოვრების წესად იქცეს. სწორედ ამიტომ შევიმუშავეთ „კითხვის კალენდარი“, რითაც შესაძლებელი ხდება შინ კითხვის მონიტორინგი. თქვენს თანამშრომლობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

1. გთხოვთ, გააკონტროლოთ, რომ თქვენმა შვილმა ყოველდღიურად იკითხოს სულ ცოტა 15 -20 წუთი;
2. ყოველდღიურად შეავსეთ ქვემოთ მოცემული გრაფა:

(ცხრილის შევსების ინსტრუქცია)

თარიღი	წიგნის დასახელება	წუთების რაოდენობა	გვერდების რაოდენობა	მშობლის ხელმოწერა
წერთ იმ თარიღს, როდესაც ბავშვი კითხულობს ტექსტს.	ჩაწერეთ ის წიგნი, რომელსაც კითხულობს ბავშვი.	დაწერეთ წუთების რაოდენობა, რამდენ ხანსაც იკითხა ბავშვმა.	ჩაწერეთ, რამდენი გვერდიც წაიკითხა.	ხელმოწერით დაადასტურეთ, რომ ცხრილში შეტანილი ინფორმაცია რეალურია.

თარიღი	წიგნის დასახელება	წუთების რაოდენობა	გვერდების რაოდენობა	მშობლის ხელმოწერა



რეფლექსია კვლევის შედეგების გაზიარებაზე

მიმდინარე წლის (2018-2019წელი) ოქტომბრიდან აპრილის ჩათვლით ვმუშაობდი საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევაზე - „წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრების უნარის განვითარების კვლევა პირველკლასელებში“.

პრობლემა აქტუალური იყო როგორც ჩემთვის, ასევე ჩემი კოლეგებისთვისაც (დაწყებითი კლასების მასწავლებლებლებითვის), რადგან დაწყებით კლასებში წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრება, კითხვის ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია და რა თქმა უნდა, საკვლევმა საკითხმა კოლეგების დიდი ინტერესიც გამოიწვია.

კოლეგებთან კვლევის გაზიარება ხდებოდა კვლევის ჩატარების პარალელურად. მას შემდეგ, რაც დავასრულე მონაცემთა შეგროვების ეტაპი კვლევის სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით, შევხვდი კოლეგებს, რათა მომესმინა და გამეთვალისწინებინა მათი მოსაზრებებიც, დამატებით თუ კვლევის რა ინტერვენციები შეიძლებოდა განმეხორციელებინა. კოლეგებთან თანამშრომლობის გზით შემუშავებულმა ინტერვენციებმა, საშუალება მომცა ჩემს მიერ შემუშავებული ინტერვენციები გამემდიდრებინა და კვლევის ფარგლებში უკეთეს შედეგზე გავსულიყავი.

ინტერვენციების დასრულების შემდეგ, კოლეგებს საბოლოოდ გავაცანი კვლევის ანგარიში. მივიღე არამარტო რჩევები და რეკომენდაციები, არამედ გავუზიარე ჩემი გამოცდილებაც ,რაც მათი თქმით, ძალიან მნიშვნელოვანი იყო. აღნიშნეს, რომ მათთვისაც ღირებული და სასარგებლო იქნება თითოეული პრაქტიკული მაგალითი უკვე ჩატარებული კვლევისა.

კოლეგების მიერ უკუკავშირი მეტად საინტერესო და ეფექტური გამოდგა, ვფიქრობ ამ კუთხით კიდევ უფრო მეტი აქტივობის მოფიქრება შეიძლება და წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრებაზე მუშაობა აუცილებელია, ხოლო მეთოდები ამოუწურავი.

ჩატარებული კვლევა ჩემთვის პირველი იყო და მეტად საინტერესოც, რადგან პროფესიულად უფრო მეტად გავიზარდე და მოტივაცია კიდევ უფრო ამიმდლდა ჩემს პროფესიაში. ასევე კვლევამ დამანახა ჩემი სუსტი რგოლი ჩემს საქმიანობაში, რომლის განმტკიცებაშიც შემდეგ სასწავლო წელს აუცილებლად ვიმუშავებ და ასევე დამანახა ჩემი ძლიერი მხარეები, რომლებიც მოსწავლეზეა ორიენტირებული და მომავალში უფრო ეფექტურად გამოვიყენებ მოსწავლეთა წიგნიერების განსავითარებლად.